SCIENTIA • LABOR • LIBERTAS

აგრარული
უნივერსიტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლა

მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მევენახეობა-მეღვინეობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მევენახეობისა და მეღვინეობის ბაკალავრი

სწავლების მოცულობა კრედიტებით

240 ECTS

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს წარმოადგენს მომზადდეს მევენახე-მეღვინის ბაკალავრი, რომელიც წარმატებულად გაართმევს თავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საქმიანობას. მას ექნება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა და პროფესიული უნარები. ეცოდინება, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო მევენახეობისა და მეღვინეობის დარგის ზოგადი საფუძვლები, ვაზის გავრცელებული ძირითადი ჯიშები, მათი გაშენების, ზრდა-ფორმირების, კულტივირების აგროტექნიკური წესები და ნორმები, ასევე ბიოლოგიური და ეკოლოგიური ასპექტები. ეცოდინება, როგორც სხვადასხვა მეთოდით ღვინის დაყენება, ისე საბოლოო პროდუქტის საწარმოო ძირითადი ტექნოლოგიები, როგორიცაა ღვინის დამუშავება-გამდგრადება, , ჩამოსხმა, ეტიკეტირება და ა.შ.. კურსდამთავრებულს შეეძლება ღვინის დამუშავების თანამედროვე მეთოდების მოძიება და გამოყენება.

დასაქმების სფეროები

მევენახეობა-მეღვინეობის ბაკალავრის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროა:

- ღვინის მწარმოებელი კომპანიები
- ღვინის ლაბორატორიები
- მცირე ფერმერული მეურნეობები
- მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულების საკონსულტაციო ფირმები
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო
- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები
- სურსათის უვნებლობის მაკონტროლებელი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საბაკალავრო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის 224/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის თანახმად:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეები არიან), რომლებმაც

საქართველოში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით.

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს ისწავლეს უცხო ქვეყანაში.

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (გარდა დისტანციური ფორმით გავლილი იმ პროგრამისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ არის საქართველოში აღიარებული).

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

პროგრამის სწავლის შედეგები

მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულმა:

1. იაზრებს თუ რა არის ბუნება, საზოგადოება, ადამიანი და ხელოვნება; შეუძლია რაოდენობრივი აზროვნება; ფლობს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო მრავალმხრივ საბაზისო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც შეთავაზებულია საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების მოდულით; იღებს მორალური ღირებულებების

საფუძველზე ეთიკურ გადაწყვეტილებებს და აცნობიერებს სამყაროს და საზოგადოების მრავალფეროვნებას.

2. ავლენს როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიის, განვითარების ეტაპების, თანამედროვე გამოწვევებისა და დარგის შემდგომი განვითარებისათვის ინოვაციური მეთოდების გამოყენების აუცილებლობის შესახებ ფართო ზოგად ცოდნას.
3. აცნობიერებს ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის მიღებისთვის ნიადაგის ტიპების, მათი ნაყოფიერების ამაღლების, ვენახის დაგეგმარებისა და დიზაინის, ვაზის საძირეებისა და ვაზის ჯიშების, ვენახის მოვლისა და ყურძნის მოყვანის თანამედროვე აგროტექნოლოგიების და გასატარებელი ღონისძიებების მნიშვნელობას.
4. იცის რთველის დაწყების ზუსტი პერიოდის განსაზღვრა, მისი დაგეგმვისა და ორგანიზებულად ჩატარების ზოგადი პრინციპები და ღონისძიებები
5. ამჟღავნებს ფართო ზოგად ცოდნას ყურძნისეული წარმოშობის მაღალხარისხიანი სასმელების კლასიკური, ტრადიციული და ინოვაციურ მეთოდებით წარმოების პრინციპებისა და მეთოდებისა და ტექნოლოგიური პროცესის დროს ქიმიური და ფიზიკური პროცესების მართვის შესახებ.
6. იაზრებს მევენახეობა-მეღვინეობის სფეროსთვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი რეგულაციების მოთხოვნებსა და მათ დანიშნულებას
7. ატარებს ვენახში მიმდინარე აგროტექნოლოგიურ პროცესებს, მათ შორის მავნებელ დაავადებათა იდენტიფიცირებისა და ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებებს მის მიერ წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით.
8. აფასებს ყურძნის, ღვინისა და სხვა ყურძნისეული პროდუქტების ხარისხს ლაბორატორიული და სენსორულ მეთოდებით მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.
9. ატარებს ყურძნისეული წარმოშობის პროდუქციის დამზადების ცალკეულ ტექნოლოგიურ ოპერაციებს.
10. მიღებულ თეორიულ ცოდნას იყენებს მევენახეობა - მეღვინეობის საქმიანობისათვის ნაკვეთისა და ვაზის შერჩევისათვის, ნიადაგის სწორად დამუშავების, ვაზის რგვის, მოვლის, სხვლა-ფორმირების, მწვანე ოპერაციების, ყურძნის სიმწიფის განსაზღვრის და მოსავლის აღების საორგანიზაციო სამუშაოების ჩატარებისათვის.
11. მევენახეობა-მეღვინეობის დარგობრივი ტერმინოლოგიისა და თანამედროვე მიღწევების გამოყენებით ამზადებს მოხსენებას ან წერილობით ნაშრომს/დასკვნას დარგის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის.
12. დამოუკიდებელი სწავლის ან/და ინდივიდუალური თუ გუნდში მუშაობის დროს იცავს სამართლებრივი რეგულაციებს, პროფესიულ ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს.
13. თანამონაწილეობს როგორც საკუთარი, ისე გუნდის წევრების პროფესიული განვითარების დაგეგმვაში საჭიროების წინასწარი იდენტიფიკაციის საფუძველზე.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დისკუსიები/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, ანალიზი.

ამასთან, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში.

სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება ისეთი შეფასების ფორმები, როგორიცაა: საშინაო დავალებები, ტესტები, პრაქტიკული გამოცდა, პრეზენტაცია, შესრულებული სამუშაოების გარჩევა, პროექტი და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლების მეთოდები გაწერილია სილაბუსებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტიანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:
(A) ფრიადი – 91-100 ქულა
(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა
(C) კარგი – 71-80 ქულა
(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა
(E) საკმარისი – 51-60 ქულა

ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება
- მევენახეობისა და მეღვინეობის ზოგადი განათლება
- მევენახეობისა და მეღვინეობის საბაზო განათლება
- მევენახეობისა და მეღვინეობის ძირითადი განათლება
- არჩევითი საგნები

საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმი და სემესტრული სასწავლო გეგმა.

ადამიანური და მატერიალური რესურსები

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ და მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით და ყველა სხვა რესურსით.